

წინასწარი შეტყობინებისა და საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტის - ცხოველების შესვლის წესი

„საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი - ცხოველები“ შედგება წინასწარი შეტყობინებისა (ნაწილი I - მონაცემები ტვირთის შესახებ, რომელიც ივსება საქონლის მფლობელის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ) და ვეტერინარული კონტროლის ჩატარების აქტისაგან (ნაწილი II - გადაწყვეტილება ტვირთზე), რომელშიც ელექტრონულად აისახება უფლებამოსილი პირის მიერ საქონლის მიმართ განხორციელებული ვეტერინარული კონტროლის პროცედურების შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება.

წინასწარი შეტყობინება

ნაწილი I: მონაცემები ტვირთის შესახებ

ცოცხალი ცხოველების შემოყვანისას საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი - ცხოველების ნაწილი I - წინასწარი შეტყობინება (გარდა ტრანზიტისა) ივსება იმპორტიორის ან ტვირთზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ელექტრონულად (www.rs.ge) და წარედგინება ცოცხალი ცხოველების საქართველოში შემოყვანის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს. ყოველ ცალკეულ სასაქონლო პარტიაზე ივსება ცალკე წინასწარი შეტყობინების დოკუმენტი. დოკუმენტი ივსება ცოცხალი ცხოველების შემოყვანის ყველა შემთხვევაში.

ტრანზიტის დროს წინასწარი შეტყობინება ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც ცოცხალი ცხოველი ტრანზიტით გადაადგილდება საქართველოს გავლით და ვეტერინარული კონტროლის ობიექტი (ცოცხალი ცხოველი) არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და შედეგები უფლებამოსილი პირის მიერ უნდა აისახოს საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტში.

წინასწარი შეტყობინება უნდა განხორციელდეს არანაკლებ:

- ა) სახმელეთო გზით შემოტანამდე – 24 საათით ადრე;
- ბ) საზღვაო გზით შემოტანისას – სატვირთო ოპერაციების დაწყებამდე 24 საათით ადრე;
- გ) საჰაერო გზით შემოტანისას – საჰაერო ხომალდის საქართველოს საერთაშორისო აეროპორტში დაფრენამდე არანაკლებ 2 საათით ადრე.

დოკუმენტის გრაფებში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

გრაფა 1. გამგზავნი/ექსპორტიორი- გამგზავნი/ექსპორტიორის დასახელება, რომელიც აგზავნის ტვირთს (მისამართი და ქვეყანა);

გრაფა 2. რეგისტრაციის ნომერი - უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი (ID ნომერი) **სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი** - ვეტერინარული პროდუქტების საქართველოში შემოტანის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დასახელება;

კოდი - კონკრეტული სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კოდი.

გრაფა 3. საქონლის მიმღები - ვეტერინარულ სერტიფიკატში მითითებული საქონლის მიმღების დასახელება, მისამართი და ქვეყანა.

გრაფა 4. ტვირთზე პასუხისმგებელი პირი - იმპორტიორის წარმომადგენლის დასახელება, მისამართი და ქვეყანა. (თუ ტვირთზე პასუხისმგებელი პირი და ტვირთის მიმღები ერთი და იგივეა, მიუთითეთ „იხილეთ გრაფა 3“).

გრაფა 5. წარმოშობის ქვეყანა - ცხოველების წარმოშობის ქვეყანა.

გრაფა 6. წარმოშობის რეგიონი - რეგიონი, რომელშიც ცხოველები ბინადრობდნენ იმ ვადის განმავლობაში, რომელიც დადგენილია შესაბამისი ქვეყნისთვის. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება რეგიონებად დაყოფილ ქვეყნებზე.

გრაფა 7. იმპორტიორი - იმპორტიორის დასახელება, მისამართი და ქვეყანა. (თუ იმპორტიორი და ტვირთზე პასუხისმგებელი პირი ერთი და იგივე პირია მიუთითეთ „იხილეთ გრაფა 4“).

გრაფა 8. დანიშნულებისადგილი - ცხოველების საბოლოო ჩამოტვირთვის ადგილი (მიუთითეთ დასახელება, ქვეყანა, მისამართი და საფოსტო კოდი).

გრაფა 9. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შემოსვლა (დანიშნული თარიღი, დრო) - ტვირთის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შესვლის სავარაუდო თარიღი და დრო (დროს მითითება სავალდებულო არ არის).

გრაფა 10. ვეტერინარული დოკუმენტები: ვეტერინარული სერტიფიკატი, დოკუმენტი გარანტირებულ მიღებაზე (ტრანზიტის შემთხვევაში), ტრანზიტის ნებართვა (არსებობის შემთხვევაში), მარშრუტის გეგმა - აირჩევა ჩამონათვალიდან დოკუმენტის ტიპი, მიეთითება **ნომერი** - სერტიფიკატის/დოკუმენტის უნიკალური ოფიციალური ნომერი; **გაცემის თარიღი**, როდესაც სერტიფიკატს/დოკუმენტს მოეწერა ხელი ოფიციალური ვეტერინარის ან შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს პასუხისმგებელი პირის მიერ და **გამცემი ორგანო**.

სხვა თანმხლები დოკუმენტები - არსებობის შემთხვევაში

გრაფა 11. ტრანსპორტის სახეობა - ინფორმაცია ცოცხალი ცხოველების გადამყვანი სატრანსპორტო საშუალების შესახებ:

ტრანსპორტის სახეობა - საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო;

სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია:

საჰაერო ტრანსპორტისთვის - რეისის ნომერი; **საზღვაო ტრანსპორტისთვის** - გემის სახელწოდება;

სარკინიგზო ტრანსპორტისთვის - მატარებლის და ვაგონის ნომერი;

საავტომობილო ტრანსპორტისთვის - რეგისტრაციის ნომერი და მისაბმელის ნომერი (არსებობის შემთხვევაში).

სატრანსპორტო დოკუმენტი № (თუ ცნობილია) - ავიაზედდებულის, სარკინიგზო ზედნადების, კონოსამენტის, სატრანსპორტო ზედნადების ან TIR-წიგნაკის ნომერი.

გრაფა 12. ცხოველების სახეობა, ჯიში - ცხოველის სახეობა, საჭიროების შემთხვევაში, ჯიში. ზოოპარკებისთვის, გამოფენების ან სამეცნიერო-კვლევითი ინსტრუქციებისთვის განკუთვნილი ცხოველების შემთხვევაში მიუთითეთ ლათინური დასახელება.

სეს ესნ კოდი - მინიმუმ პირველი ოთხი ციფრი **სეს ესნ** ნომენკლატურის მიხედვით.

ცხოველების წონა/რაოდენობა - რაოდენობა ან წონა კილოგრამებში, როგორც ეს აღნიშნულია ვეტერინარულ სერტიფიკატში ან სხვა დოკუმენტში;

შეფუთვის რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში) - ყუთების, გალიების, ვოლიერების რაოდენობა, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ცხოველების ტრანსპორტირება;

გრაფა 13. ცხოველები სერტიფიცირებულია, როგორც - სერტიფიკატში მითითებული ინფორმაცია, ცხოველების დანიშნულების შესახებ: სანაშენე/მწარმოებელი, გასასუქებელი, საკლავი, საკვლევი, შინაური ცხოველები, კარანტინი, რეგისტრირებული ცხენები, გადაყვანა, ცირკი/გამოფენა და სხვა.

გრაფა 14. კონტეინერის ნომერი დალუქვის ნომერი - ლუქის და კონტეინერის შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრები;

გრაფა 15. რეექსპორტი - გრაფა ივსება, იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველების შემოყვანის დროს საბაჟო გამშვებ პუნქტშივე გაცხადებულია საქონლის მიმართ რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვა და ხდება შემოყვანილი ცხოველების გაყვანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ; მიეთითება გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დასახელება, საიდანაც ცხოველები ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას და დანიშნულების ქვეყნის დასახელება.

გრაფა 16. ტრანზიტი - ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც ცოცხალი ცხოველი ტრანზიტით გადაადგილდება საქართველოს გავლით და ვეტერინარული კონტროლის ობიექტი (ცოცხალი ცხოველი) არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და შედეგები უფლებამოსილი პირის მიერ უნდა აისახოს საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტში.

დანიშნულების ქვეყანა - საბოლოო დანიშნულების ქვეყანა.

გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი - იმ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დასახელება, საიდანაც ცხოველები ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას;

გრაფა 17. იმპორტი ან დროებითი შემოტანა - ეხება მხოლოდ რეგისტრირებულ ცხენებს განკუთვნილს დოლისთვის, შეჯიბრებისთვის, კულტურული ღონისძიებებისთვის დროებითი შემოყვანისას;

დროებითი შემოყვანა ვრცელდება მხოლოდ რეგისტრირებულ ცხენებზე, მაქსიმალური დროით 90 დღე. მიუთითეთ გასვლის თარიღი და ადგილი;

გრაფა 18. უკან მობრუნებული საქონელი - კეთდება აღნიშვნა შესაბამის გრაფაში, როდესაც საქართველოში წარმოშობილი პროდუქტს უარი ეთქვა დანიშნულების ქვეყანაში შესვლაზე და დაბრუნებულია საქართველოში.

გრაფა 19. სატრანსპორტო საშუალება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის შემდეგ - სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება მას შემდეგ, რაც ტვირთი გაივლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს.

გრაფა 20. გადამზიდავი - გადამზიდავის დასახელება, მისამართი დაოფიციალური სარეგისტრაციო ნომერი.

გრაფა 21. მარშრუტის გეგმა - ახლავს თუ არა ცხოველს მარშრუტის გეგმა „დიახ“ ან „არა“.

გრაფა 22. ტვირთზე პასუხისმგებელი პირი - ამ გრაფაში მიეთითება ტვირთზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, რომელიც დოკუმენტის ელექტრონულად წარდგენით იღებს 22-ე გრაფით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი - ცხოველები

ნაწილი I. ცხრილის შესახებ	1. გამგზავნი/ექსპორტიორი დასახელება მისამართი ქვეყანა	2. რეგისტრაციის ნომერი <input type="text"/>
		სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი: დასახელება კოდი
	3. მიმღები დასახელება მისამართი ქვეყანა	4. ტვირთზე პასუხისმგებელი პირი დასახელება მისამართი ქვეყანა
	7. იმპორტიორი დასახელება მისამართი ქვეყანა	5. წარმოშობის ქვეყანა 6. წარმოშობის რეგიონი
		8. დანიშნულების ადგილი დასახელები დადასტურების ნომერი მისამართი ქვეყანა
9. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შემოსვლა თარიღი დრო	10. ვეტერინარული დოკუმენტები დოკუმენტის ტიპი: ნომერ(ებ)ი გაცემის თარიღი სხვა თანმხლები დოკუმენტები: ნომერ(ებ)ი	
11. ტრანსპორტის სახეობა: საჰაერო <input type="checkbox"/> საზღვაო <input type="checkbox"/> სარკინიგზო <input type="checkbox"/> საავტომობილო <input type="checkbox"/> იდენტიფიკაცია: სატრანსპორტო დოკუმენტის N:		

12. ცხოველების სახეობა, საქონლის საერთო წონა/შეფუთვის რაოდენობა

ცხოველის დასახელება	სეს ესნ კოდი	წონა/რაოდენობა	საზომი ერთეული	შეფუთვის რაოდენობა	სერტიფიკატის N	ნებართვის N

13. ცხოველები სერტიფიცირებულია, როგორც:
 სანაშენე/შწარმოებელი გასასუქებელი საკლავი საკვლევი შინაური ცხოველები
 კარანტინი რეგისტრირებული ცხენები გადაყვანა ცირკი/გამოფენის სხვა

14. კონტეინერის ნომერი და ლუქის ნომერი

15. რექსპორტი გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი) დანიშნულების ქვეყანა	16. ტრანზიტი დანიშნულების ქვეყანა გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი)
---	--

17. იმპორტი ან დროებითი შემოტანა საბოლოო იმპორტი <input type="checkbox"/> ცხენების დაბრუნება <input type="checkbox"/> ცხენების დროებითი შემოყვანა <input type="checkbox"/> გასვლის თარიღი <input type="text"/> გასვლის ადგილი <input type="text"/>	18. უკან მობრუნებული საქონელი <input type="text"/>
--	--

<p>19. ტრანსპორტირება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის შემდეგ რკინიგზის ვაგონი საჰაერო ხომალდი გემი ავტოტრანსპორტი სხვა</p> <div style="display: flex; justify-content: space-between;"> <div style="width: 20%;"> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> </div> <div style="width: 60%;"> <p>სარეგისტრაციო # ავიარეისის № დასახელება სარეგისტრაციო № სანომრე ნიშანი</p> </div> </div>	<p>20. გადამზიდავი დასახელება რეგისტრაციის ნომერი მისამართი საფოსტო კოდი/რეგიონი ქვეყანა</p>
<p>22. მე, ზემოაღნიშნულ ტვირთზე პასუხისმგებელი პირი ვადასტურებ, რომ ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები ნამდვილია და სრულია. თანახმა ვარ გადავიხადო გადასახდელები საქართველოს ვეტერინარულ მოთხოვნებთან შეუსაბამო ტვირთის უკან დაბრუნებისათვის, ასევე ცხოველის კარანტინში მოთავსებისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გავიღო ევთანაზიის და დამარხვის ხარჯები.</p>	<p>21. მარშრუტის გეგმა დაახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/></p> <p>შედგენის ადგილი, რიცხვი, თვე და წელი პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი პირადი ნომერი</p>